№ 187 — მთავრობის მოამბე — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. — პარასკევი, აგვისტოს 20 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგა 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ. გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ზე გ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტილეფ. 1—82

## საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ პარასკევს ამა წლის 10 ენკენისთვეს საღამოს 6 საათზედ საზოგადოების დარბაზში, რესპუბლიკის (ყოფილ პეტრე დიდის) ქუჩა, № 8

## შესდგება აქციონერთა საზოგადო კრება

**დღიური წესრიგი:**

1) მოკლე მოხსენება საზოგადოების საქმეთა ვითარებისა, მისი ოპერაციებისა და ფინანსიურ მდგომარეობის და მოქმედების განვითარების უახლოეს გეგმის შესახებ:

2) წესდების ზოგიერთ მუხლების დამატებითი შეცვლა:

3) კერძო აქციების წარმომარგენელთა მიერ თანახმად წესდების მე-35 მუხლისა, სამი გამგეობის წევრის ამორჩევა:

4) საკითხი გამგე-დირექტორის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ პირობათა მიღების ან მიუღებლობის შესახებ:

5) მიმდინარე საკითხები.

თუ კრებას არ დაესწრო კანონიერი რიცხვი აქციონერებისა, მეორე კრება ინიშნება 24 საათის შემდეგ, რომელიც თანახმად წესდების მე-72 მუხლისა ჩაითვლება კანონიერად, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

848 1—1 — გ ა მ გ ე ო ბ ა.

## ტფილისის მაზრის ეროზის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ მაზრის ნაფიც მსაჯულთა სიები შედგენილია. მათი გადათვალიერება და განცხადების შემოტანა შეიძლება ეროზის მდივანთან ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა 16 აგვისტოდან დილის 9 საათიდან 1 საათამდე.

2348 2—1

## ოფიციალური განყოფილება.

### ბრძანებანი

**მიწათ-მოქმედების მინისტრისა.**

15 ივლისი, 1920 წ., № 237.

**დათხოვნილია:** სახელმწიფო მამულთა განყოფილების მემანქანე ნინო მენაბდე მისი თხოვნის თანახმად ამა წლის 14 ივლისიდან.

№ 238.

**გადაყვანილია:** მინისტრის საბჭოს წევრი ალექსანდრე კორინთელი სასოფლო მეურნეობის განყოფილების უფროს სპეციალისტად ამა წლის 1 ივნისიდან პირველ თანამდებობიდან განთავისუფლებით.

16 ივლისი, 1920 წ., № 239.

**ინიშნებიან:** პ. ქლენტი და ვ. ლ. მლოკოსევიჩი, მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწეთა თანამდებობის აღმასრულებლად.

**შვებულება მიეცეს:** შულავრის ტყის გამ. მე ვ. ა. ზასლავსკის ავადმყოფობისა გამო ერთი თვის ვადით.

17 ივლისი, 1920 წ. № 240.

**დათხოვნილი არიან:** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან მიწის მზომელი ი. გვანცალაძე და მუნტიანი, თანახმად თხოვნისა, პირველი 1 ივლისიდან, მეორე კი 10 ივლისიდან.

15 ივლისი, 1920 წ. № 241.

**ინიშნება:** სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მეორე რიგის მიწის მზომლათ შტატს გარეშე სერგო ნიკოლოზის ძე ლობადენკო ამა წლის 6 ივლისიდან.

№ 242.

**ინიშნება:** სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში პირველი რიგის მიწის მზომლად შტატს გარეშე ბარის ფილომონის ძე უპატიშევი ამა წლის 5 ივლისიდან.

19 ივლისი, 1920 წ., № 243.

**დათხოვნილია:** სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ მებრძოლ ბიუროს მწვრალი მარიამ სერგევისა, ნაცთონალიზაციის გამო ამა წლის ივლისის 15-დან სალიკვიდაციო ფულის მიცემით.

**დანიშნულია:** მარიამ ჩიხლაძე სასოფლო მეურნეობის განყოფილების სტატისტიკურ ცნობათა მიმწოდებელ ბიუროს მდივნათ ამა წლის ივლისის 19-დან.

№ 234.

**გადაირიცხოს:** ტფ. ბოტანიკურ ბაღის თესლის საკონტროლო სადგურის სეზონის პრაქტიკანტი გიორგი ცაგარელი იმავე სადგურის პრეპარატორად ამა წლის ივლისის 20-დან.

**ინიშნებიან:** მარიამ ჰელიძე ტფ. ბოტანიკურ ბაღის ენტომოლოგიის კაბინეტში, ქეთევან ქომეთიანი იქვე, თესლის საკონტროლო სადგურთან, ივანე ჩხენკელი სასოფლო-სამეურნეო ლაბორატორიასთან, ნატალია მახარაძე იქვე, ელისაბედ მირიანაშვილი ტფ. საბრეშუმო სადგურთან, ქეთევან ყანჩაველი იქვე, გიორგი მგალობლიშვილი საქარის მევენახეობის სადგურთან, მარიამ დონდუა იქვე და ლიუდმილა წერეთელი სოფლის მეურნეობის მავნებელთა წიააალმდეგ მებრძოლ ბიუროსთან, ყველანი წლიურ პრაქტიკანტებად ამა წლის ივლისის 20-დან.

№ 245.

**ინიშნება:** დ. მ. მინდაძე, მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

№ 246.

**ინიშნება:** ჩაქვის სახელმწიფო მამულის გამგის თანაშემწეთ აგრონომი გამხარაშვილი 20 ივლისიდან.

20 ივლისი, 1920 წ., № 247.

**დანიშნულია:** წინანდლის სახელმწიფო მამულის სარდაფის გამგეთ ალექსანდრე ერმილეს ძე ჰელიძე ამა წლის 20 ივლისიდან.

№ 248.

**დათხოვნილია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ი. ლ. მირიანაშვილი ტყის გამგის თანაშემწე, სალიკვიდაციო ფულის მიუცემლად.

249.

დასამატებლად 3 თებერვლის 1920 წ. ბრძანებისა, № 24, სადაც სწერია: დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან უნდა იყოს ჩამატებული სიტყვები: „თანახმად მისი თხოვნისა“.

№ 250.

**დათხოვნილია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: სატყეო სატეხნიკო და გზების საკეთებელ ნაწილების სპეციალისტი კ. ა. ბუდაკოვი, თანახმად მისი თხოვნისა პირველ აგვისტოდან.

**ინიშნება:** სატყეო განყოფილების საქმის მწარმოებელი ვ. ი. ფედოროვი, სატყეო სატეხნიკო და გზების საკეთებელ ნაწილების სპეციალისტის თანამდებობაზე პირველ აგვისტოდან.

№ 251.

**დათხოვნილია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: სენაკის მაზრის სამიჯნაო განყოფილების მიწის მზომელი ვ. რიკსი, თანახმად თხოვნისა, 18 ივლისიდან.

22 ივლისი, 1920 წ., № 252.

**დათხოვნილია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი გ. პ. გრებენიკი, თანახმად მისი თხოვნისა.

**აღმატებულ იქმნან:** პირველი რიგის მიწის მზომელის თანემდებობაში მეორე რიგის მიწის მზომლები: გარიევი ამა წლის 8 ივნისიდან ასმალოვი 1 ივლისიდან.

23 ივლისი, 1920 წ. № 254.

**მიეცეს თავისუფლება:** მიწათ-მოქმედების სამინისტროს ქიმიურ-ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიის გამგეს პროფესორ იასონ მოსეშვილს ერთი თვის ვადით ამა წლის ივლისის 22-დან.

№ 255.

**დათხოვნილია:** სახელმწიფო მამულთა განყოფილების მემანქანე ქეთევან აბესაძე-ფეოდოროვისა, სისტემატიურად სამსახურში არ გამოცხადებისა გამო ამა წლის 20 ივლისიდან.

**დანიშნულია:** ამავე განყოფილების მემანქანეთ ბარბალე სიმონის ასული ფხალაძე ამა წლის 15 ივლისიდან და ელენე ავქსენტის ასული მეგრელიძე ამა წლის 21 ივლისიდან.

№ 256.

**დათხოვნილია** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: სამიჯნაო განყოფილების მიწის მზომელი ივანე იოსტსონი თანახმად თხოვნისა 28 ივლისიდან.

24 ივლისი, 1920 წ., № 257.

**დათხოვნილია:** სასოფლო მეურნეობის განყოფილების რეგისტრატორი ანნა საყვარელიძე ამა წლის ივლისის 23-დან მისი თხოვნის თანახმად.

№ 258.

**ინიშნება:** ალექსანდრე რობერტის ძე გოვერტი წყალთა სამმართველოში ინჟინრის თანამდებობაზე ამა წლის 24 ივნისიდან.

№ 259.

**დათხოვნილია:** ყარაიაზის მამულის მოურავად დანიშნული აგრონომი დ. ი. სამადაშვილი სამსახურში გამოუცხადებლობის გამო 10 ივნისიდან ამა წლისა.

26 ივლისი, 1920 წ., № 260.

**ინიშნება:** ნაცვლად გარდაცვალებულ ლეჩხუმის მაზრის სახელმწიფო საადგილ მამულო ფონდის გამგის ბიქტორ გიორგის ძე ახვლედიანი მიხეილ მიხეილის ძე ყიფიანი ამა წლის 11 ივნისიდან.

28 ივლისი, 1920 წ., № 261.

**ინიშნება:** სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მეორე რიგის მიწის მზომლის თანამდებობაზე შტატს გარეშე ფელიქსი ივანეს ძე კალუსოვსკი ამა წლის 14 ივლისიდან.

27 ივლისი, 1920 წ. № 262.

**ინიშნება:** სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მეორე რიგის მიწის მზომლის თანამდებობაზე შტატს გარეშე ნიკოლოზ თედორეს ძე მოროზოვი ამა წლის 14 ივლისიდან.

№ 263.

**ინიშნება:** სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მეორე რიგის მიწის მზომლის თანამედებობაზე შტატს გარეშე ათანასი ვასილის ძე ჩერნოივანოვი ა. წ. 12 ივლისიდან.

№ 264.

**ინიშნება:** სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მეორე რიგის მიწის მზომლის თანამდებობაზე შტატს გარეშე ვლადიმერი ივანეს ძე ხუბაშვილი ამა წლის 12 ივლისიდან.

№ 265.

**ინიშნება:** სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მეორე რიგის მიწის მზომლის თანამდებობაზე შტატს გარეშე ანტონი მიხეილის ძე ჩაპლინსკი ამა წლის 12 ივლისიდან.

№ 266.

**ინიშნება:** სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მეორე რიგის მიწის მზომლის თანამდებობაზე შტატს გარეშე ვლადიმერი იოსების ძე სოლტანი ამა წლის 12 ივლისიდან.

№ 267.

**ინიშნება:** სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მეორე რიგის მიწის მზომლის თანამდებობაზე შტატს გარეშე ევგენი კაზიმირის ძე ვერცინსკი ამა წლის 19 ივლისიდან.

28 ივლისი, 1920 წ. № 268.

**დათხოვნილია** თანამდებობიდან და სრულიიდ სამსახურიდან: აბასთუმნის სატყეოს ტყის გამგის თანამდებობის აღმასრულებელი დ. მ. გელაძე, 12 თიბათვიდან სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

№ 269.

**ინიშნებიან:** 1) პირველ ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებთბის აღმასრულებელი შ. ა. გოდერძიშვილი, მეორე ხარისხის ტყის გამგეთ, ფოცხოვის სატყეოში.

2) მ. პ. დადიანი პირველ ხარისხის ტყის გამგის თანაშემწეთ.

**აღმატებულ იქნა:** მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი მ. ე. ალექსიძე, პირველ ხარისხით.

24 ივლისი, 1920 წ., № 270.

**ინიშნება:** ნიკოლოზ მიხეილის ძე ივანოვი წყალთა სამმართველოში ტეხნიკის თანამდებობაზე ამა წლის 19 ივლისიდან.

31 ივლისი, 1920 წ. № 271.

**ინიშნება:** საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის გამგეთ ლევ ალექსანდრეს ძე პატკოვი ამა წლის 20 ივლისიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრის
ამხ. **ი. მაღალია.**

—

**იუსტიციის მინისტრისა.**

6 აგვისტო 1920 წ., № 302.

**დაინიშნოს** არტაანის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად და წარმოიგზავნოს სასამართლოს გამომძიებელთა წარმოებაში 1918 წ. 26 მაისიდან უმოძრაოდ მყოფ საქმეების გადასასინჯად და მათის მდგომარეობის გამოსარკვევად დაწესებულ დროებით კომისიის წევრის თანამდებობის აღმასრულებლად კონსტანტინე ივანეს ძე პლეტნიკოვი ამა წლის აგვისტოს 4-დან.

იუსტიციის მინისტრი **რ. არხენიძე.**

—

**იუსტიციის დეპარტამენტის დირექტორისა.**

10 აგვისტო 1920 წ., № 306.

**დაინიშნოს:** კანონთა გადამსინჯველ კომისიის საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლად სამინისტრრს კანცელარიის შტატ გარეშე მოწვეული საქმის მწარმოებელი კონსტანტინე თეიმურაზის ძე ნოდია ამა წლის აგვისტოს 10-დან.

11 აგვისტო, 1920 წ. № 310.

**განთავისუფლებულია:** თანამდებობიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანახმად თავისი თხოვნისა კანონთა გადამსინჯველ კომისიის მანქანაზე გადამწერი ნინო სტეფანეს ასული ჯაფარიძისა ამა წლ. აგვისტოს 11-დან.

დეპარტამენტის დირექტორი

**გ. ჟორდანია.**

—

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.**

11 აგვისტო, 1920 წ., № 240.

**დანიშნულ იქმნას:** ბათომის ოლქის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწის დროებით აღმასრულებლად ვალენტინ რაფიელის ძე თენიეშვილი ამა 1920 წლის 15 ივლისიდან.

№ 241.

**დანიშნულ იქმნას:** ბათომის ოლქის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ვალერიან ვასილის ძე გოგეშვილი ამა 1920 წ. 16 ივლისიდან.

11 ივლისი, 1920 წ., № 249.

**დანიშნულ** იქნას ბათომის ოლქის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად სოლომონ დავითის ძე ალხაზაშვილი ამა 1920 წ. 16 ივლისიდან.

11 აგვისტო, 1920 წ., № 243.

**დანიშნულ** იქნას ბათომის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ვლადიმერ პეტრეს ძე ესიავა ამა 1920 წლის 12 ივლისიდან.

11 აგვისტო, 1920 წ., № 244.

**დანიშნულ** იქნას ბათომის ოლქის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად პეტრე თევდორეს ძე ფრანცევი ამა 1920 წლის 15 ივლისიდან.

11 აგვისტო, 1920 წ., № 244.

**დანიშნულ** იქნას ბათომის ოლქის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად პეტრე თევდორეს ძე ფრანცევი ამა 1920 წლის 15 ივლისიდან.

11 აგვისტო, 1920 წ., № 245.

**გადაყვანილ** იქნას ფოთის აქციზის ინსპექტორი სვიმონ გიორგის ძე თაყაიშვილი ბათომის ოლქის აქციზის ინსპექტორად ამა 1920 წ. 1 აგვისტოდან.

11 აგვისტო, 1920 წ., № 246.

**დანიშნულ** იქნას ტფილისის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე დორენგოვსკი ამა 1920 წლ. 1 აგვისტოდან.

11 აგვისტო, 1920 წ., № 247.

**დანიშნულ იქნას** ტფილისის აქციზის ინსპექტორის უმცროსი თანაშემწე მიხეილ მალაქიას ძე ბაქრაძე რაჭის მაზრის აქციზის ინსპექტორის უფროს თანაშემწედ ამა 1920 წელს 1 აგვისტოდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი

**ს. ავალიანი.**

---

**არა ოფიციალური განყოფილება.**

---

# მთავრობაში

**კრედიტის გადიდება.**

სახელმწიფო დაწესებულებების შესანახად გადიდოს მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესავსებად 926.389.306 მან. ფინანსთა სამინისტროს დაევალოს სათანადო დეკრეტის შეტანა დამფუძნებელ კრებაში.

**მაიორ მაყაშვილის დაკრძალვის გამო.**

გადაიდოს სამხედრო ფონდიდან 100.000 მანეთი მაყაშვილის დაკრძალვის ხარჯების გასასტუმრებლად.

**სესხი ქუთაისს.**

მიეცეს ქ. ქუთაისს 10 მილიონი სესხი.

**დეპეშების გაგზავნა ნისიად.**

ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ მიიღოს დეპეშები ჯარის ნაწილების უფროსებისაგან ნისიად, იმ პირობით რომ დეპეშების გასაგზავნი სათანადო ფული შემდეგ გადახდეს სამხედრო უწყების სამეურნეო კომიტეტს.

**შენობის გადაცემა.**

სამასწავლებლო საბჭოს შენობა გადაეცეს საეპარქიო საბჭოს.

**ქარხნების ჩამორთმევა.**

ჩამოერთვას ამხანაგობა „შრომას“ ცეცხლშეუპოვარ აგურის ქარხანა და სამღებრო ფაბრიკა 2.100.000 მან. და გადაეცეს სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს თავის გამგებლობაში. ვინაიდან დამფუძნებელი კრება საზაფხულოდ დათხოვნილია და სათანადო დეკრეტის შეტანა შეუძლებელია, ამიტომ ფინანსთა სამინისტროს მიეცა ნება საჭირო ხარჯები დაფაროს თავის განკარგულებაში არსებულ თანხებიდან. ამას გარდა ნება დაერთო ფინანსთა სამინისტროს ქარხნის საექსპლოტაციოდ გაიღოს 2 მილიონი მანეთი ავანსად. მთავრობამ დაადგინა შეიძინოს პროტცერის სპირტის ქარხანა 15.300.00 მან. ეთად. ყიდვისა და ქარხნის ექსპლოტაციაში მონაწილეობას მიაღებინებენ ერობათა კავშირს და ქართველ მექარხნეთა საზოგადოებას.

---

# დამფუძნებელ კრებაში

**წლიური ხარჯთ-აღრიცხვის ფორმულა**

განიხილა რა სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვა და მიიღო რა მხედველობაში რესპუბლიკის მძიმე ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული საერთაშორისო ყოველგვარ გართულებასთან, დამფუძნებელი კრება ადგენს:

1. დაევალოს მთავრობას შემოდგომის სესიის დაწყებისთანავე წარმოუდგინოს დამფუძნებელ კრებას კანონ-პროექტი რესპუბლიკის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაარსებისა, რომლის დანიშნულება იქნება შედგენა ერთ მთლიან ეკონომიურ-ფინანსიურ გეგმისა და რომელშიც წარმოდგენილი იქნება რესპუბლიკის ყველა სასიცოცხლო ძალები, აგრეთვე სპეციალისტები ყველა დარგებისა.

2. იქნეს მთავრობის მიერ შემდეგი ზომები მიღებული: ა) დაცულ იქნას სწორწონილობა სახელმწიფოს შემოსავლის და გასავალს შორის; ბ) ადგილობრივ თვითმართველობათ სესხი მხოლოდ წარმოებისათვის ეძლეოდეს და ისიც მაშინ, როცა განზრახული დარგი წარმოებისა წინასწარ არის შესწავლილი და შეფარდებული რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობასთან და ტეხნიკის განვითარებასთან; გ) დაჩქარებით წარმოდგენილ იქნას კანონ-პროექტი ადგილობრივ თვითმართველობათა საბიუჯეტო უფლებისა და სანამ ეს კანონი მიღებული არ არის, გაეწიოს ადგილობრივ თვითმართველობათ ხაზინიდან დახმარება მართველობის აპარატის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად; დ) ცენტრალურ და ადგილობრივ მართველობის ორგანოები, რაც შეიძლება გამარტივებულ და ხალხისათვის ადვილად მისაწდომი იქნეს.

---

# მოსკოვის კომუნისტები საქართველოს შესახებ

ამა წლის სამი აგვისტოს, გაზ. „პრავდა“-ში (№ 169) მოთავსებულია ლ. სოსნოვსკის შემდეგი წერილი, სათაურით—რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების შესახებ, სადაც შემდეგს ვკითხულობთ: „ინგლისის იმპერიალისტებმა, რომელთაც აზიაში აჯანყების ტალღებმა კუდი აუწვა, გადასწყვიტეს, რომ ბათომმა მათთვის დაჰკარგა ყოველგვარი მნიშვნელობა. შეჰკრეს ჩემოდნები, ჩააწყვეს ყველაფერი გემებში, რის გაძარცვაც კი შეიძლებოდა და გაემგზავრენ. წასვლის წინ მენშევიკებს დაუქნიეს ხელი—შეგიძლიანთ დაიკავოთ ბათომიო.

ამის შემდეგ, როგორც ჭეშმარიტმა ტარტარენებმა, მენშევიკებმა გაგზავნეს ბათომისკენ ჯავშნიანი მატარებლები და ყოველ სადგურიდან ასეთ რელიაციებს ჰგზავნიან: ჩვენ დავიკავეთ სადგური ქობულეთი, გავიწიეთ შემდეგ სადგურამდე“.

დამფუძნებელ კრებაში მთავრობის თავმჯდომარემ სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს „გამარჯვებაზე“. მეგაზეთეები ბულბულივით ამღერდენ.

მენშევიკებს ავიწყდებათ მხოლოდ მოიგონონ, რომ საბჭოთა მთავრობის საქართველოზე მიკუთვნებამ (თუმცა იმ დროს იქ ინგლისი ბატონობდა) გადასწყვიტა ბათომის ბედი. მაგრამ საქართველო-რუსეთის საზავო ხელშეკრულებაზე მენშევიკები ეხლა გალიზიანებული ლაპარაკობენ. მათ კიდევ მოეჩვენათ, რომ ვრანგელი და პილსუდსკი ჩვენ გვჯობნიან. აი რით აიხსნება მთავრობის (?) გაზეთის „გრუზიას“ გულახდილი აღსარება, რომ აუცილებელია „ახალი უფრო ვრცელი და გარკვეული საზავო ხელშეკრულების პროექტის“ შემუშავება.

აი რა მოსაზრებით ეწევიან მენშევიკები საბოტაჟს რუსულ-ქართულ კომისიაში, რომელმაც ხელშეკრულების ძალით უნდა გაატაროს ის გარანტია, რომ დენიკინის არმიის სალდათები და იარაღი ვერ იპოვნიან მფარველობას საქართველოს ტერიტორიაზე.

მე-75 №-ში „გრუზია“ გულახდილად აცხადებს, რომ „არც სადმე მივიჩქარით და არც საჭიროა ესო“. იქნებ ვრანგელს დასჭირდეს დენიკინის იარაღის ნაშთი.

მენშევიკებს, მაგალითად, არ სურთ ჩვენი კომისიის ბათომში შეშვება ინგლისელების გასვლისთანავე, ითხოვენ თავისთვის 10 დღის ვადას, რათა დენიკინის ბრბოს ამ ხნის განმავლობაში მიეღო საჭირო ზომები.

სხვა საბუთები იმის მაჩვენებელია, რომ მენშევიკები საზავო ხელშეკრულებას უცქერიან, როგორც ქაღალდის ნაგლეჯს.

ყოველ შემთხვევაში, მე შემიძლიან განვაცხადო, რომ არც ესტონეთის, არც ლატვიის ან ლიტვის მთავრობის პრესაში არ თავსდება ისეთი უხეში ლანძღვა-თრევა და შეურაცხყოფანი მშვიდობიანობის პირობებში მყოფ საბჭოთა რუსეთისადმი, როგორც ქართულში.

მოვიყვანთ ერთ ფრაზას გაზეთ „გრუზია“-ში (№ 75) მოთავსებულ წერილიდან.

„ჩვენ კარგად ვიცით, რომ საბჭოთა მთავრობისათვის საზოგადოდ არ არსებობს არავითარი ხელშეკრულება, არავითარი სიტყვა გარდა დარბევისა და ძალადობისა, სადაც ეს მათ გაუდის“.

აშკარაა, საქართველოს მთავრობა გადაჭრით ატარებს იმ პოლიტიკას, რომ გააყალბოს ზავი. როგორც სჩანს, ის ფიქრობს ახალი ძალის შველაზე (ვრანგელი?)

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამხ. ჩიჩერინი შესძლებს გამოარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს ბრძოლის ყიჟინი და მიიღებს საკმაოდ ძლიერ ზომებს რესპუბლიკის დასაცავად ბ-ნ ჟორდანიას და კომპ. სიურპრიზებისაგან“.

ასეთი საკენკით კვებავენ ბოლშევიკები თავიანთ მკითხველებს საქართველოს შესახებ.

---

# უცხოეთი

**(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)**

**რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა.**

ლონდონში გამოდის ეკონომიური ჟურნალი, რომელიც ემსახურება, რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ინტერესებს: ამ ჟურნალში გადათარგმნილია წერილი სათაურით: „რუსეთის დაშლა“. წერილში ცნობები საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ მოყვანილია ციურიხის გაზეთიდან. ამ წერილის ცნობით შემოდგომაზე რკინის გზის მოძრაობის სავსებით შეწყვეტას მოელიან. საბჭოთა რუსეთის ექსპერტიზამ გამოარკვია, რომ ტრანზიტის ნორმალური მდგომარეობის აღდგენა კარგ პირობებშიაც კი შეუძლებელია 1923 წლამდეო. არსებულ გემთა 97% სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს. შემჩნეულია ცხენების თანდათანობით შემცირება. 130 ათას ცხენიდან მოსკოვში ახლა მხოლოდ 8 ათასი ცხენია. მიუხედავათ სასტიკი ზომებისა მრეწველობა რუსეთში კატასტროფიულ მდგომარეობაშია. ორთქმავლის დამმზადებელ ქარხნებში მუშაობა თითქმის სულ შეწყდა, ფოსტა-ტელეგრაფისა და ტელეფონის მუშაობა მოდუნდა. პეტროგრადში 94 საფოსტო და სატელეგრაფო დაწესებულება დაიხურა.

**ამერიკა და სომხეთი.**

„ტაიმ“ ნიუ-იორკიდან დეპეშით მიღებულ ცნობას ბეჭდავს. ამერიკის მისიის თავმჯდომარე სომხეთიდან დაბრუნდა და კონგრესს სომხეთის მანდატის საკითხის შესახებ მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში აღნიშნულია თუ როგორ დასთანხმდება ამერიკა სომხეთის მანდატის მიღებას. მან სომხეთში 50,000 ჯარის კაცი უნდა გააგზავნოს. ამერიკის ჯარის რიცხვი სომხეთში შეიძლება შემცირდეს მხოლოდ მესამე წელს. სამხედრო ძალის სომხეთში გაგზავნა გამოიწვევს ყოველ წლიურად 175 მილ. გირვანქა სტერლინგის ხარჯსო.

**გაზ. „ტაიმ“ ბოლშევიკების შესახებ.**

გაზეთი „ტაიმ“ ინგლისის საზოგადოების ბოლშევიკებთან დამოკიდებულების შესახებ სწერს: „აღსანიშნავია ინგლისის პოლიტიკურ პარტიების ერთსულოვნება რუსეთ-პოლონეთის საკითხში. ის პარტიებიც კი, რომლებიც ბოლშევიკებთან ზავის მომხრენი იყვნენ, როდესაც გამოირკვა, რომ პოლონეთს განადგურება მოელოდა, ბოლშევიკებს გადაუდგნენ. ასკვიტი და რობერტ სესილიც კი დაეთანხმა ლოიდ ჯორჯს პოლონეთის დახმარების საკითხში. ლოიდ ჯორჯმა ჩიჩერინის ნოტის შინაარსის შესახებ სთქვა: საბჭოთა რუსეთის პასუხი ჩვენ კვირას საღამოს მივიღეთ. ჩემმა კოლეგა მილიერანმა ეს პასუხი თავხედურ პასუხად ჩასთვალა. მე კი ის მიმაჩნია სულელურ პასუხად. ამ ნოტის შინაარსი, როგორც ყოველთვის, ორაზროვანია და პოლიტიკურ კილოს აგიტაციას ადგილი უჭირავს.

(გაზეთებიდან).

**მუსტაფა ქემალი—დიქტატორი.**

ანგორის ნაციონალურმა კრებამ მუსტაფა ქემალი გამოაცხადა დიქტატორად. დიქტატორს მინიჭებული აქვს ყოველგვარი უფლება გარდა დროებითი და სამუდამო ზავის შეკვრის. ამ უფლებას იტოვებს თვით ნაციონალური კრება. მუსტაფა ქემალმა მუნდროსის დროებითი ზავი გააუქმა და გამოაცხადა ახალი მობილიზაცია.

**მუშათა მოძრაობის ცენტრალიზაცია ინგლისში.**

ტრედ-უნიონების პარლამენტარულმა კომიტეტმა მიიღო მუშათა მოღვაწეობის ცენტრალიზაციის პროექტი. ეს ცენტრალიზაცია გატარდება გენერალურ კრების მიერ. ამ ორგანიზაციაში შევლენ კონგრესის წარმომადგენელნი, მუშათა პარტიას და სხვ.

**საბჭოთა რუსეთი და ჩინეთი.**

„ჰუმინიტეს“ გადმოცემით ჩინეთის მთავრობამ რუსეთში გაგზავნა დიპლომატიური მისია გენერალ ჩანგ-ჩუა-ლინგის თავმჯდომარეობით.

**ბელგიის პროფეს. კავშირების ყრილობა.**

ივლისის პირველ რიცხვში ბრიუსელში ბელგიის პროფესიონალურ კავშირების ყრილობა შესდგა. ყრილობას საერთაშორისო ბიუროს წარმომადგენელნიც დაესწრნენ.

**ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება.**

რადიოს ცნობით ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს აგვისტოს 10 დღის 4 საათსა 8 წუთზე. ხელშეკრულებას პირველად ხელი მოაწერა ქადი-ფაშამ, შემდეგ მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ყველაზე ბოლოს ხელი მოაწერა საბერძნეთმა და იტალიამ. სერბიის წარმომადგენლის არ ყოფნის გამო ხელშეკრულება სერბიის მხრივ ხელმოუწერელი დარჩა.

**დემონსტრაცია რომში.**

„კორიერე დე-ლა-სერა“ იუწყება: მცხოვრებლებმა მოახდინეს ტრამვაის მოსამსახურეთა საწინააღმდეგოდ გრანდიოზული დემონსტრაცია, რომელიც სისხლის ღვრით დასრულდა. დემონსტრაცია გამოიწვია ტრამვაის მოსამსახურეთა გაფიცვის განხანგრძლივებამ. ხალხმა თავდაყირა გადმოატრიალა ტრამვაის ვაგონები. მოსამსახურეებს მოსაშველებლად მოვიდნენ ჯოხებითა და ძალადატანებით შეიარაღებული ტრამვაის მუშები. ქალაქის სხვა და სხვა ადგილას ნამდვილი ბრძოლები მოხდა. მცხოვრებლებმა გაიმარჯვეს. მოსამსახურეებმა ვაგონები დასტოვეს და შუაღლეზე უკან დაიხიეს. ეს დემონსტრაცია იმით დასრულდა, რომ სოც.-პარტიის პრეზიდიუმის შენობაზე ამართეს ეროვნული დროშა. შემდეგ დღეებში ქუჩებზე წვრილი შეტაკებები ხდებოდა. სოციალისტი დეპუტატები ბრალს სდებენ მთავრობას, რომ მან არეულობის ჩასაქრობად შესაფერისი ზომები არ მიიღო. მუშათა კავშირების საბჭომ პროტესტის ნიშნად საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა. სოციალისტები პროტესტს მხარს უჭერენ და გაფიცვის წინააღმდეგ მიდიან. რომის არეულობა ტურინშიაც განმეორდა.

**საზავო მოლაპარაკება პოლონეთთან.**

აგვისტოს 17 მინსკში საზავო კონფერენცია გაიხსნა. რუსეთის უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარემ დანიშევსკიმ შესავალი სიტყვა წარმოსთქვა. აღწერა რა რუსეთ-პოლონეთის დამოკიდებულების ისტორია და მიუთითა რა კრებას საბჭოთა მთავრობის სურვილზე ჩამოეგდო პოლონეთთან ზავი, იგი ამბობს, რომ საბჭოთა მთავრობას ბოლოს და ბოლოს სხვა გზა აღარ დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ მოეკიდა ხელი იარაღისათვის და თავის მოკავშირე უკრაინის მთავრობასთან ერთად თავდამსხმელ მტრისათვის წინააღმდეგობა გაეწია.

---

# ყირიმში

**გენერ. ვრანგელის დეკლარაცია.**

გენერალ ვრანგელის დეკლარაციამ ყირიმის პრესაში დიდი აურზაური და განგაში გამოიწვია. დეკლარაციაში ბევრი საგულისხმო აზრია გამოთქმული. იგი ეხება ბოლშევიკების მოღვაწეობას და ნათლად აღნიშნავს

კომუნისტების ქოტურ, კოშმარულ პოლიტიკას. გენ. ვრანგელი სხვათა შორის თავის დეკლარაციაში ამბობს რომ მისი მოღვაწეობა ყირიმში სავსებით მიმართულია რუსეთის ხალხის განთავისუფლებისაკენო.

„ჩვენ ვიბრძვით, ამბობს ვრანგელი, თავისუფლებისათვის, რუსეთის გადასარჩენად, ბოლშევიკების დესპოტიზმის განადგურებისათვის. ჩვენ ვიცვამთ არა მარტო რუსეთის ინტერესებს, არამედ ევროპის დემოკრატიის ინტერესებსაც, ვიცვამთ საშინელი ბოლშევიკების რეაქციისაგან. თუ ჩვენი მსხვერპლი დაილუპა უშედეგოთ, მაშინ ევროპის დემოკრატია უნდა აღსდგეს, როგორც ერთი კაცი, ცივილიზაციის მტრების წინააღმდეგ. რუსეთის ხალხის ბატონ-პატრონი უნდა თვით ხალხი იყოს. რასაც მოისურვებს იგი ისე უნდა იყოს. მოისურვებს ხალხი მონარქიას—უნდა მონარქია იყოს, მოისურვებს რესპუბლიკანურ წესწყობილებას უნდა რესპუბლიკა იყოს. რუსეთის არმიის საქმე ყირიმში—ეს დიდებულ განთავისუფლების მოძრაობად უნდა ჩაითვალოს. ეს არის სამღვთო ომი სამშობლო ქვეყნის თავისუფლების დასაცავად. ასეთ მოძრაობას ვერავითარი ვიწრო ნაციონალური აგიტაცია ვერ ჩააქრობს. არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ექნება. ვისაც თავისი სამშობლოს ბედ-იღბალი აფიქრებს, უეჭველია, ყველა მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ამ განთავისუფლების მოძრაობაში. ყოველივე მოძრაობა ჩვენ წინააღმდეგ ეს იქნება დიდი დანაშაული სამშობლო ქვეყნის წინაშე. ეს იქნება ეროვნული უბედურობა და ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლშევიკების წინააღმდეგ მთელი ჩვენი ძალ-ღონით".

## ჩრდილო-კავკასიაში.

— სოფელ არდონში კომუნისტებმა დააპატიმრეს 44 ოფიცერი, ხრისტიანოვსკში 26. ყველა დაპატიმრებულნი გაგზავნეს კავკავში „ჩრეზვიჩაიკა"-სთან.

— კავკავში გაიხსნა ნარზანოვის ოლქის ინგუშთა ყრილობა.

— თემირ-ხან-შურაში მზადდება განსაკუთრებული მატარებელი „წითელ დაღესტანის" კომუნისტების საჩუქრით დატვირთული საბჭოთა რუსეთისთვის.

— კირილოვის სადგურის რაიონში მოვიდა დიდი სეტყვა. სეტყვამ გააფუჭა 625 დესეტინა ყანა. განადგურებულია აგრეთვე ბევრი ბოსტანი და ბაღები.

## ახალი ამბები

**სახალხო გვარდიის შტაბში.** სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა დაადგინა: გაგზავნოს კონსტანტინოპოლში საგანგებო კომისია სახალხო გვარდიის ტანისამოსის და აღჭურვილობის შესაძენად.

**სალიკვიდაციო ჯილდოს ნორმები.** შრომის სამინისტრომ ბათომის შრომის კომისარს აცნობა, რომ სალიკვიდაციო ჯილდოს ნორმები, რომელიც ინგლისელებმა დააწესეს ოკუპაციის დროს, ამ ჟამად გაუქმებულია, ვინაიდან ბათომის ოლქის რესპუბლიკასთან შემოერთების შემდეგ, იქ საერთო სახელმწიფოებრივი კანონები ვრცელდება. რაც შეეხება ტფილისის მომრიგებელ კამერის მიერ დაწესებულ სალიკვიდაციო ჯილდოს ნომრებს, იგი სავალდებულოა არა მარტო ტფილისისათვის, არამედ მთელ რესპუბლიკისათვისაც და მათ შორის ბათომისა და ბათომის ოლქისათვის.

**მუშათა დელეგაცია.** საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა რუსეთში მიმავალ მუშათა დელეგაციის წევრების მანდატები, მათ შორის დასავლეთ საქართველოს გლეხობის წარმომადგენელის მოქ. ხვიჩიასი და აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობის წარმომადგენელის არავიაშვილისა. დადგენილია მუშათა დელეგაციის წევრები მუშაობისაგან ჯამაგირის შენახვით გაანთავისუფლონ.

**სატარიფო პალატაში.** სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა მიიღო შემდეგი გარდაწყვეტილება: ვინც არ სარგებლობს მომარაგების ფონდით და ჯილდოს სახით ჯამაგირის 25 პროც. ეძლევა, მათთვის დააწესონ ჯილდოს მინიმუმად 1425 მან. და მაქსიმუმათ კი 325 მან.

**ხორბლით დატვირთული ვაგონები.** მიწათ-მოქმედების მინისტრმა ხომერიკმა წინადადება მისცა რკინის გზის დეპარტამენტს სპეკულიაციასთან ბრძოლისა და უცხოეთში ხორბლის გატანის აკრძალვის მიზნით გამოსცეს ბრძანება, რომ ამიერიდან რკინის გზის ადგილობრივმა სადგურებმა მიიღონ, ან გაგზავნონ იმდენი ხორბალი, რამდენიც მომარაგების სამინისტროდან იქნება ნებადართული.

**საბაჟო რაჭის მაზრაში.** საბაჟოს ნაწილის გამგე ვ. მ. მიქაძე იგზავნება რაჭის მაზრაში მამისონის უღელტეხილისა და მაზრის სხვა ადგილებში საბაჟოების მოსაწყობად.

**ახალი რადიო-სადგური.** საააქციონერო საზოგად. „ევრაზიამ" შუამდგომლობა აღძრა ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს წინაშე, რომ მას ნება მიეცეს ტფილისში დიდი რადიო-სადგურის გაკეთებისა.

**1900 წ. დაბად. ჯარში გაწვევა.** ქალ. თვითმართველობის სამხედრო განყოფილება აცხადებს, რომ 1900 წ. დაბადებულთ, რომლებსაც 1920 წ. უწევთ სამხედრო ბეგრის მოხდა და რომლებიც მოსაწვევ სიაში არ არიან შეტანილნი, სასჯელის თავიდან აცილებლად უნდა გამოცხადდენ სათანადო კომისარიატებში მოწვევის სიებში ჩასაწერად.

**ჯარში მობილიზაციით გაწვეულთა** შესახებ სატარიფო პალატამ დაადგინა: მიეცეთ მათ, როგორც ჯამაგირის ნახევარი, აგრეთვე იმ 25%½, რომელიც მათ სურსათის სამაგიეროდ ეძლეოდათ 52%½-ის მხოლოდ მიიღებენ ისინი, რომელთაც ოჯახი ჰყავთ.

**ახალი მომატების გამო.** იმ მიზნით, რომ ჯამაგირის წინასწორობა არ დაირღვეს და ზოგიერთმა მოსახურემ იმაზე მეტი არ მიიღოს, ვინც წინად მასზე მეტს ღებულობდა, ჯამაგირის მომატების ახალი ცხრილი შეადგინა.

**ახალი ნიხრი.** სასურსათო კომისიამ დააწესა ახალი ნიხრი: შემდეგ საგნებზე: ჰიქა-რძე—10 მან. კვერცხი—10 მან. დანაყილი მარილი გირვანქა—10 მან. ფუთი—400 მან. გირვანქა დაუნაყავი მარილი—9 მან. 50 კ. ფუთი—380 მან გირვანქა კართოფილი—9 მან. ფუთი—360 მან.

**რუსთა ეროვნულ საბჭოში.** რუსთა ეროვნული საბჭო, საქართველოს მოქალაქე რუსების ყრილობის მოსამზადებელ მუშაობას შეუდგა. ყრილობის მოწვევა მიმდინარე წლის ნოემბერში არის განზრახული.

**მუშებისათვის და მოსამსახურეთათვის საჭირო საგნების მოწოდება.** თანახმად მუშათა მაგიდის ცნობისა მთელი რესპუბლიკის მუშებს და მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლათ საჭიროა: შაქარი—6250 ფუთი, ბრინჯი—12,500 ფუთი, ასანთი—250,000 კოლოფი, საპონი—6250 ფუთი, ჩაი—800 ფუთი, მარილი—12,500 ფუთი, ამ რიცხვში არ შედის მანუფაქტურა, ნახშირი, შეშა, ნავთი, ქართოფილი და ლობიო.

**მევენახეთა შორის.** აგვისტოს 17, სხდომაზე მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობის საბჭომ მიიღო საბოლოო ტექსტი კანონ-პროექტისა ღვინის შესახებ. კანონ-პროექტი დასამტკიცებლად დამფ. კრებას გადაეცემა.

**სახელმწიფო თეატრი.** ოპერის არტისტები, მემუსიკები და სხვა მოსამსახურენი, როგორც სახელმწიფო მოსამსახურენი მუშფულუფით ისარგებლებენ. სახელმწიფო თეატრში საბოლოოდ შესდგა დასი და ბალეტი. შესდგა აგრეთვე გუნდი და ორკესტრი თვითეული 50 კაცისაგან.

**ქ. ტფილისში მომუშავე ექიმების საყურადღებოდ.** ქ. ტფილისში მომუშავე ყველა ექიმებს ევალება ყოველ მათ მიერ აღმოჩენილ მკვეთრ—გადამდები ავადმყოფების შესახებ აცნობოს დაუყონებლივ ტელეფონით ქალაქის სადეზინფექციო კამერას ავადმყოფის ვინაობის და მისამართის ჩვენებით საიზოლიაციო და სადეზინფექციო ზომების მისაღებად. (კამერის ტელეფონის № 1-72).

გარდა ამისა მათ ევალებათ ფოსტის საშუალებით (უმარკოთ) გააგზავნონ ქალაქის სანიტარულ ბიუროში იმავე ავადმყოფების შესახებ სარეგისტრაციო ფურცელი.

სარეგისტრაციო ფურცლები ექიმებმა უნდა მიიღონ ქალაქის სანიტარულ ბიუროდან. დამრღვევი ამ განკარგულებისაგან პასუხის გებაში იქნებიან მიცემული.

## ბათომი

— ბათომის ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ შემდეგი შინაარსის განცხადება გამოაკრა: ვინაიდან სასურსათო ბარათებით ზოგიერთები ბოროტ-მოქმედებას სჩადიან, ამიტომ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მცხოვრებთა ინტერესების დაცვის მიზნით ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა შეამოწმოს სასურსათო ბარათები. ყოველი მოქალაქე ვალდებულია ბარათების შესამოწმებლად გამოცხადდეს იმ ფურნეში, საიდანაც პურს ღებულობს, შემდეგში მოქალაქეთ პური მხოლოდ შემოწმებული ბარათებით მიეცემათ.

— საბჭოთა გაზეთებში დაბეჭდილია ცნობა პლეხანოვის სადგურზე მატარებლის დამსხვრევაში დამნაშავეთა გასამართლების შესახებ. ამ კატასტროფამ იმსხვერპლა 266 კაცი მათში 109 კაცი მოკვდა, დანარჩენნი დაიჭრა, და სამუდამოთ დასახიჩრდა. ტრიბუნალმა ბრალდებულთ მიუსაჯა სამსახურში უყურადღებობისათვის უვადო სავალდებულო სამუშაო.

— შავი ქვის საქმის უკეთ გატანის მოსაწყობად შავიქვისათვის ახალი მოედანი გააკეთეს, საიდანაც პირდაპირ დაიტვირთება უცხოეთის საოკეანო გემები.

— თანახმად ამნისტიის კანონისა, ყველა პატიმარს, რომელსაც მისჯილი აქვს კატორღა ან და ტუსაღთა გამასწორებელი რაზმი, სასჯელი სანახევროდ შეუმცირდებათ. (დ. ს.)

## ერობა

### სიღნაღის მაზრის საერობო ხმოსანთა მეორე ყრილობა.

(გაგრძელება)

ადმინისტრაციის მოწყობა გაუმჯობესება თავსატეხ საკითხთაგანი იყო. როგორც ყველგან ისე ჩვენშიც ვცდილობდით გაგვეჯანსაღებინა იგი. იმ ჯამაგირებით, რომელიც დაწესებულია ძნელი იყო სასურველი პირების შოვნა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც მივაღწიეთ ჩვენს მიზანს. ჩვენი ადმინისტრაცია საერთოდ დამაკმაყოფილებელია, ყაჩაღობა, ძარცვა, ბოროტმოქმედება მაზრაში საგრძნობლად შემცირდა და თითქმის მოისპო კიდეც. ჩვენს ხელში გადმოვიდა თუ არა ადმინისტრაცია, გავაუქმეთ მაზრის და რაიონის კომისრები და მის ნაცვლად შემოვიღეთ სამაზრო და სარაიონო მილიცია. ჩვენ მალე რაიონის მილიცია გავაუქმეთ და მოვაწყეთ სათემო მილიცია და ყველა თემი ამავე დროს იყო რაიონი და აღარ გვინდოდა ყოფილიყო მაზრის და თემის მილიციის გარდა კიდევ სარაიონო საშუალო მილიცია, მაგრამ ვინაიდან მთავრობას ჰქონდა სარაიონო მილიციის სისტემა, ჩვენ იძულებული ვიყავით შემოგვეღო ისევ რაიონის მილიცია, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ეს ზედმეტად მიგვაჩნია. ჩვენ იძულებულნი ვართ შევამციროთ შტატი მილიციისა, რათა ნაწილი ამ ფულისა დაუმატოთ და მივცეთ იმათ, ვინც მსახურებენ, რადგან იმ ჯამაგირით, რასაც ღებულობთ და ერობაც ამატებს არავინ თანხმდება. საერთოდ დიდი სიმძიმე დააწვა ადმინისტრაციას და უნდა განვაცხადოთ თქვენს წინაშე, რომ შეძლების დაგვარად პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას. ნაკლი, რასაკვირველია, ჯერ კიდევ აქვს და ჩვენ ყოველი საშუალებით ვცდილობთ ამ ნაკლის დაძლევასაც და ადმინისტრაციის უფრო სასურველად მოწყობასაც.

საბეითლო განყოფილების მოქმედება დამაკმაყოფილებელია, არსებული სავეტერინარო პუნქტები თავის დანიშნულებას სისწორით ასრულებენ, გარდა დედოფლის წყაროს პუნქტისა, რომელიც უმოქმედობას იჩენდა და დროებით დავხურეთ.

სამხედრო საქმე მაზრაში მთელი თავის სიმძიმით ჩვენ დაგვაწვა: ჯარისკაცთა სიების შედგენა, მათი დოკუმენტების შემოწმება, ახალგაზდათა გაწვევა და შემოწმება, მათთვის ბინის მიცემა, გამოკვება და გაგზავნა, მობილიზაციის ჩატარება, ყველა ეს გამგეობაზე იყო დაკისრებული და ამ საქმეზე დიდი დრო და ენერგია იხარჯებოდა. ეხლა საკუთარი ფრონტიც აზერბეიჯანთან ომის დროს და მისი სიმძიმეც ჩვენ დაგვაწვა.

**გამგეობის წევრი რ. ახმეტელაშვილი** აკეთებს მოხსენებას სასურსათო განყოფილების მოქმედების შესახებ. უფულობა აქაც საშუალებას არ გვაძლევდა ფართოდ გვეწარმოებინა სასურსათო საქმე-ოპერაცია. ზოგჯერ თვით მთავრობის სასურსათო პოლიტიკაც და სხვა და სხვა ცენტრალურ ორგანიზაციების აგენტები ხელს გვიშლიდენ მუშაობაში. მაინც ჩვენ შევძელით მიგვეწოდებინა მთავრობისათვის 15 ვაგონზე მეტი ხორბალი. უმთავრეს შემოსავლის წყაროებად ითვლებოდა: შემოსავალი ხორბლის დამზადებიდან, მთავრობისაგან მიღებულ ფართლეულობის და წვრილმანი საქონლის ოპერაციებიდან.

**აგრარულ რეფორმის** განხორციელება ფერხდებოდა იმით, რომ არ მოიპოვებოდა საკმარისი ძალები და ჩვენი უფლებებიც ამ საქმეში გამოურკვეველი იყო. რეფორმის პირველი ნაწილი—მიწების კონფისკაცია თითქმის დამთავრდა, განაწილება კი მოხდა გურჯაანის და ველისციხის რაიონებში; მუშაობდა და სამი მიმღები და განმანაწილებელი კომისია, განზრახვა გვქონდა ყველა თემთან დაგვეარსებინა ცალკე კომისიები, მაგრამ სამინისტრომ ამის საშუალება ვერ მოგვცა ვერც თანხის გაღებით და ვერც სპეციალისტების დანიშვნით.

**გადასახლების** საქმეში ბევრი ვეცადეთ, რომ ბოლოს მთავრობას შეეჩერებინა ის უსისტემო გადმოსახლება, რომელსაც აწარმოებდა აქამდის ჩვენი მაზრის ერთ ნაწილში, სახელდობრ ალაზან—გაღმა რაიონი.

(შემდეგი იქნება)

## მილიციაში

### 5.000.000 მანეთის ბრილიანტების მისაკუთრება.

ლ. ჩიქოვანს ქ. ქუთაისის მკვიდრი მცხოვრები ტფილისში ჩამოსვლისას ჩამოეტანა ბრილიანტები ღირებულებით 5.000.000 მან. ბრილიანტები გასასყიდათ ლ. ჩიქოვანს მიუტანია არჯევანიძის მაღაზიაში. ბრილიანტების გასინჯვის დროს არჯევანიძის მაღაზიაში შესულა ვინმე ახალ გაზრდა ყმაწვილი კაცი. ყმაწვილ კაცს რომ დაენახა ბრილიანტები მოსწონებოდა და მის შესასყიდათ და მოსალაპარაკებლად ჩიქოვანისთვის მოუთხოვია მისი მისამართი. ჩიქოვანსაც უთქვამს რომ იგი მოექითხად „კავკასიის ბანკში". აგვისტოს 5-ს კავკასიის ბანკში ტელეფონით უცნობებიათ ჩიქოვანისათვის რომ თვისი ბრილიანტები წამოეღო ვექილ გ. რცხილაძის ბინაზე, ოლღას ქუჩაზე, სახლი № 5. ჩიქოვანიც წასულა დანიშნულ ადგილს და წაუღია ბრილიანტებიც. მისვლის უმალვე ჩიქოვანს დახვედრია ყმაწვილი კაცი რომელსაც თვისი თავი გრიგოლ პავლეს ძე ზოლოტარევად გაეცნო, შესახედავად ჰგვანებია რუსს. ჩიქოვანს ბრილიანტები უჩვენებია და 5 მილ. მანეთად დაუფასებია. ზოლოტარევს ძალიან უძვირია და 3.000.000 მან. უძლევია. ბრილიანტების გაშინჯვის დროს გვერდზე ოთახში ვილაცას როიალი დაეკრა. ზოლატარევს ვითომ ნევრიულობით, გასულიყო და შეეჩერებინა როიალის ხმა, რადგან ზოლოტარევს ეთქვა იქითა ოთახში ავათმყოფი ცოლი წევსო. ცოტა ხნის შემდეგ ზოლოტარევი გამოსულიყო და ჩიქოვანისთვის ეთხოვა რომ ბრილიანტები მიეცა ავადმყოფ ცოლის საჩვენებლად, ჩიქოვანიც დასთანხმებულიყო და ბრილიანტები მიეცა. რამდენიმე ხანი აღარ გამოდიოდა ოთახიდან ზოლოტარევი. ჩიქოვანს ეჭვი აგალვიძებია, შესულა ოთახში არავინ ავდმყოფი არ უნახავს და ვეღარც ზოლოტარევი დაენახა. ზოლოტარევი მეორე გასასვლელ კარებიდან გასულიყო და გაპარულიყო. სისხლის სამართლის მილიციის გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა რომ გ. რცხილაძე კონსტანტინოპოლში წასულიყო, წასვლის წინ თავისი ბინა ჩაებარებინა თავის ცოლის ძმისათვის ლ. მაჩაბლისათვის. მაჩაბელს ერთი ოთახი გაექირავებინა ზოლოტარევზე. ზოლოტარევი არავითარ სამსახურში არ ყოფილა. ბოროტ-მოქმედების ჩადენის შემდეგ ზოლოტარევს ეცხოვრა სასტუმრო „გრანდ ოტელში". გამოძიებიდან სჩანს რომ მაჩაბელს თითქოს მოლაპარაკება ჰქონოდეს ზოლოტარევთან, რაღაცა შანტაჟზე. სასწრაფოდ მიღებულ ზომებიდან გამოირკვა რომ ზოლოტარევი სულ სხვა პიროვნება ყოფილა. გამოძიება კიდევ სწარმოებს.

— აგვისტოს 15-ს სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა გვარდიელები ივანე კორდიაშვილი, ალექსანდრე გიორგის ძე ლაფარაშვილი, ილია სვიმონის ძე ქურდიანი, ივანე ალექსანდრეს ძე დათუაშვითი და ანტონ კონსტანტინეს ძე კიკნაძე. მათ ბრალდებათ პოლინა ბორისის ასულის ბენიამინოვის ქალის გაუპატიურება.

— 10 აგვისტოს თავისუფლების მოედანზე სისხლის სამართლის მილიციის მიერ დაჭერილია ქურდი-რეციდივისტი იოსებ დიმიტრის ძე გომელაური, რომელიც გამოქცეულა გორის საპყრობილიდან. დაჭერის დროს გომელაურს გულზე სახალხო გვარდიის ნიშანი ჰქონდა გაკეთებული და თავის თავს ეძახოდა იოსებ ოდიშელიძეს. დასახელებული პირი დაპატიმრებულია ტფილისის პირველ საპყრობილეში.

— 18 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის ჯარის მე-5-თე პოლკის ლეიტენანტმა ევგენი ქუთათელაძემ განაცხადა სისხ. სამ. მილიციაში, რომ მის ბინაზე თეოდოსიის ქ. № 6 გაიტაცეს სხვა და სხვა ოქროს ნივთები ღირებულებით 40.000 მან. გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ქუთათელიძეს ნივთები მოეპარა სახლის პატრონებს ცოლს და ქმარს. ყველა მოპარული საგნები მათ ბინაზე აღმოაჩინა და გადასცა პატრონს.

## განცხადებანი

დაიკარგა საბინაო დავთარი სასათვის შესახვევში № 3 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ტაგი ამაზაძის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2271 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების ნუსხა № 7, ილია გიორგის ძე ელიაშვილის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2250 3—3

დაიკარგა პასპორტი № 213 ავრელინა ხარიტონის ასული აბულაძის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის ერობის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2300 3—2

დაიკარგა ექვსი კლასის ატესტატი № 1560 და შვიდი კლასის მოწმობა № 1883, მიღებული ქუთაისის რეალური სასწავლებლიდან 1911 წ. აბბაკო ასლანის ძე ვიგრინდაშვილის სახელზე. 2312 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი პეტრე დიდის ქუჩაზე № 91 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის გრიგოლ არაფელოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2294 3—2

დაიკარგა პასპორტი ლევ ლევის ძე მარკოვის სახელზე, მიღებული კავკასიის სახელმწიფო მამულების ყოფილ ინსპექტორის სამმართველოდან 1912 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2295 3—2

დაიკარგა მოწმობა № 246 კიროშ ალიევის სახელზე, მიღებული მუსულმანთა ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2310 3—2

დაიკარგა მოწმობა № 1348 ტიგრან ბირაბეტოვის სახელზე, მიღებული ბათუმის ვაჟთა გიმნაზიიდან 1913 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2285 3—3

დაიკარგა სიმწიფის ატესტატი, მიღებული ტფ. ქართულ გიმნაზიიდან 1916 წ. მეტრიკული მოწმობა და სხვა საჭირო საბუთები ლევან ცისკარიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2288 3—3

დაიკარგა სამსახურის ნუსხა მიცემული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგ. № 2309 პლატონ ებანოიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2289 3—3

დაიკარგა საქ.-დემოკრატიული პარტიის წევრობის ბარათი, პასპორტი და სარეკრუტო ბარათი № 104, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან იკოფ არშაკის ძე ოგანეზოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2307 3—2

დაიკარგა მოწმობები, მიღებული სახელმწიფო სტამბიდან, ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და რუსების ნაციონალური საბჭოდან ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე რუნკოვსკის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2323 3—2

დაიკარგა: 1) ნუსხა, 2) საცხოვრებელი ბილეთი, 3) მოწოდება და 4) ნოტარიალური მინდობილობა, ბესარიონ გიორგის ძე ჩხეიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2313 3—2

დაიკარგა მოწმობა № 440 მარიამ ესტატეს ასული ბოლქვაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 2315 3—2

ქალ. ტფილისის მე-12 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ანნა ივანეს ასულის არაქელოვის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავიანთი უფლება არაქელოვის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 2291 3—2

ქალ. ტფილისის მე 12 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ბაბუკა იგივე დიმიტრი ბეჟანის ძე მელიას მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება მელიას სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 2290 3—2

ქ. ტფილისის მე 12 და 13 სამომრიგებლო უბ. სასამართლოს ბოქაული გავსოვიჩი აცხადებს რომ 4 სექტემბერს 1920 წ. დილის 10 საათზე მე 10 კომისარ პლეხანოვის ქუჩაზე 101 დანიშნულია საჯარო ვაჭრობა გარდაცვალებული სტანისლავა ტრჟეტრჟევინსკის მოძრავ ქონებაზე რომელიც შეადგენს ტანისამოსის შკაფს და სარკეს მიხეილ გლუხოვსკის და მიხეილ ბრუნგერგის 28418 მან. ვალის დასაკმაყოფილებლად. 2330 1—1

სუფსის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებული პართენ სიმონის ძის აფხაზავას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება აფხაზავას ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. 1 ნაწ. 10 ტ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 2343 1—1

ბათომის უბნის სამოქალაქო საქმეთა მომრიგებელი მოსამართლე, იწვევს გარდაცვალებული ისიდორე ნიკოს ძე გოფოძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ 10 ტ. 1 ნაწ. კან. კრებ. მე 1239 მუხლში გათვალისწინებული უფლებები გარდაცვალებულის დანაშთ ქონებაზე. 2342 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლოს ბოქაული მ. ბეზკროვნი, აცხადებს, რომ 6 ნოემბრის 1920 წ. დილის 10 საათზე, იმავე სასამართლოში დანიშნულია მის მიერ საჯარო ვაჭრობით გაყიდვა უძრავი მამულისა, რომელიც ეკუთვნის თამარა ალექსის ასული სოლოლოვს, მდებარეობს. ქ. ტფილისში, 6 უბანში სალიანის ქუჩ. № 7, და შეიცავს მიწის ნაჭერს ზომით 26 ოთხ. კუთხ. საჟ., რომელზედაც არის ერთ-სართულიანი აგურის სახლი 5 ოთახისაგან, დავით გრიგოლის ძე სოლოლოვის ვალში აღმასრულებელი ფურცლის ძალით 2150 მან. ეს მამული გასასყიდათ შეფასებულია 2100 მან., რომელიც შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად უნდა იქნას წარდგენილი ერთი მეათედი შეფასებისა. მამულის აღწერის სია და სხვა ქაღალდების გაშინჯვა შეიძლება ყოველ დღე სასამართლოს კანცელარიაში.

ტფილისის მე 19 უბ. მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ კონსტანტინე შიოს ძე კორინთელის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება კონსტანტინე შიოს ძე კორინთელის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. განცხადება ეს ძალაში შედის 1920 წ, თებერვლის 18-დან. 304 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლოს ბოქაული მ, ბეზკროვნი, აცხადებს, რომ 14 სექტემბერის 1920 წ. დილის 10 საათზე, იმავე სასამართლოში დანიშნულია მის მიერ საჯარო ვაჭრობით გაყიდვა უძრავი მამულისა, რომელიც ეკუთვნის ისიდორ ბეჟანის ძეს და მარია მაქსიმეს ასულ მიკანაძეებს, მდებარე ქ. ტფილისში 8 უბანში, კამიშის შესახვევში № 5 და შეიცავს მიწის ნაჭერს ზომით 2500 ოთხ. კუთხ. საჟ., რომელზედაც არის 2 სართულიანი აგურის სახლი და შესდგება: ზემო სართული 6 ოთახისაგან და ქვემო სართული—1 ოთახისაგან 2 მარნით, ხეხილის ბაღი და ვენახი, თავისი წყაროთი და მორიგი წყლით, არტაშეს გრიგოლის ძე მამიკონოვის ვალში საგირაო ქაღალდის ძალით 139067 მ. 22 კ. და სარგებლად 12 პროც დ ხარჯით 1878 მ. ეს მამული დასასყიდათ შეფასებულია 141000 მან., რომელი შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად უნდა იქმნას წარდგენილი ერთი მეათედი შეფასებისა. მამულის აღწერის სია და სხვა ქაღალდების გაშინჯვა შეიძლება ყოველ დღე სასამართლოს კანცელარიაში. 2276 1—1

დაიკარგა პასპორტი ელენე ივანეს ასული გრიბენკოვას სახელზე, მიღებული რუსების ნაციონალური საბჭოდან ტფილისში 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2248 3—3

დაიკარგა პასპორტი კონსტანტინე მიხეილის ძე საგატელოვის სახელზე, მიღებული სომხების წარმომადგენლისაგან საქართველოში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2229 3—3

დაიკარგა პასპორტი მარიამ მარტინის ასული კრივორუჩენკო-ვასკევიჩის სახელზე, მიღებული კიევის გუბერნიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2281 3—3

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა ნიკოლოზ ივანეს ძე ბერაძის სახელზე, მიღებული სინოდალურ კანტორიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2324 3—1

დაიკარგა სამხედრო გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 2862 ტერენიკ კარაპეტის ძე ჩიტიჩიანცის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2325 3—1

დაიკარგა სამხედრო სამსახურიდან თავისუფლების მოწმობა გლახო დავითის ძე ჯეირანაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2326 3—1

დაიკარგა ატესტატი, მიღებული 2 კომერციულ სასწავლებლიდან და მეტრიკული მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორიდან ივანე ოტიას ძე ურუშაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2328 3—1

დაიკარგა ლევან ზაქარიას ძე დარბაისელის სახელზე რეგისტრაციის მოწმობა № 3330 მიღებული ქალაქის მართველობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2333 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი მართა ახვერდოვის სახელზე მდებარე სახლ. შირაქის შესახვევი № 22. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2334 3—1

დაიკარგა ვადიანი პასპორტი № 58744 მიცემული ტფ. მილიციის უფროსისგან 16 ივნის 1920 წ. ანა ივანეს ასული კრისოვას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2331 3—1

დაიკარგა პასპორტი უვადო მიცემული პოლიცმეისტრის კანცელარიიდან, მოწმობა მიღებული სამხედრო უფროსისგან სევერიან მიხეილის ძე აბზიანიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2332 3—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 22 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 14 ივლისს 1920 წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული მეიერ მარდახის ძე ციციაშვილის მიერ ისხაკ და იაკობ აბრამის ძეთ ენუქაშვილებზე ნაკვეთი მიწისა მდებარე ქ, ქუთაისში ბაზრის ქუჩაზე შენობებით ზომით ა. მხრით 14 და ნახ. ალაბი, დ. მხრით 26 ალაბი, ჩ. და 3 და 3 4 ალაბი თითოულ მხარეზე. 400,000 მან. 2303 1—1

დაიკარგა საბინაო დავთარი კრასნოგორსკის ქუჩა № 35 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის დავით ოსიპოვს. 2336 3—1

დაიკარგა პასპორტი გერასიმე ივანეს ძე თეთრაძის სახელზე, მიღებული გომრეთის ხოფლის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2337 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი 1919 წლის თათრის შესახვევში № 24 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის მამედ გუსეინ ალასკაროღლის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2340 3—1

დაიკარგა ერთი წლის ბილეთი № 155, მიღებული ჩაიბოთის თემის გამგეობიდან, სამხედრო სამსახურის ნუსხა და მეტრიკული ამონაწერი სილოვონ პატარაიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2341 3—1

ქალაქ ქუთაისის მეII უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაც. გიორგი ანდრიას ძე ვარდანაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გიორგი ვარდანაშვილის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 2344.1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალური არქივის საქმეთა სიმტკიცის ნუსხაში ჩაინიშნა სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი ქუთაისის ნოტარიუსისაგან 18 ივლისს 1920 წელსა საჯარო ვაჭრობიდან უძრავ მამულის შეძენის თაობაზე ლიდა მიხეილის ასულის ლორთქიფანიძის მიერ, რომელიც ეკუთნოდა მცხოვრებს ქალაქ ქუთაისში ფილიმონ ლეონტის ძე ლორთქიფანიძეს მდებარე ქალაქ ქუთაისში და შესდგება ნაკვეთი მიწისაგან შენობებით ზომით 76 ოთხ კუთხი საჟ. საზღვრებ შორის: აღმოსავლეთით—გზა მურმანოვების შესახვევი, დასავლეთით—ტატიანა ნარსიას მამული, სამხრეთით ელისაბედ ბახტაძის მამული და ჩრდილოეთით გიორგი და სხვ. სულაქველიძეების მამული. 2303 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ქუთაისის ნოტარიალური არქივის საქმეთა სიმტკიცის ნუსხაში ჩაინიშნა სიმტკიცის მოწმობა, შედგენილი ზუგდიდის ნოტარიუსისაგან 25 მაისს 1920 წელსა ფლობელობით უძრავ მამულის შეძენის თაობაზე ექვთიმე ხახუას ძე კვარაცხელიას მიერ რომელიც ეკუთვნოდა მასვე, კვარაცხელიას მდებარე ქალაქ ზუგდიდში და შესდგება ნაკვეთი მიწისაგან შენობებით ზომით 1 დეს, 2100 ოთხ. კუთხ. საჟ. საზღვრებ შორის: 2303 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 29 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 23 ივლისს 1920 წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული მიხეილ დავითის ძე მიქაუტაძის მიერ ნიკო თეიმურაზის ძე ნოდიაზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში ბალახოვანის ქუჩაზედ შენობით ზომით 78 57 100 კ. ს. 457017 მანეთად 5 კაპ. 2303 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 30 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 24 აპრილს 1920 წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული სიმონ ლაზარეს ძე ცინცაძის მიერ დომენტი ესტატეს ძე აბესაძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში ძველი ტფილისის ქუჩაზედ შენობებით ზომით ა. 20 ს. დ. 14 ს. ს. 12 ს. და ჩ. 15 ს. 50.000 მანეთად. 2303 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 31 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 20 ივლისს 1920 წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული ელენე ივანეს ასული კონიევის მიერ გიორგი სტეფანეს ძე ყუფარაძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში გოსპიტლის ქუჩაზე შენობით ზომით 115 კ. ს. 200,000 მანეთად. 2303 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 31 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 23 ივლისს 1920 წ. შესრულებული ნაყიდობა, მიცემული ბარნაბა სოლომონის ძე ყუფარაძის მიერ პლატონ მერაბის ძე რუხაძეს ეზოს ადგილი 2 ნაკვეთი მიწისაგან შემდგარი მდებარე ქ. ქუთაისში გოსპიტლის ქუჩაზე ზომით 1 ნაკვეთი ა. მხრით 8 ს. დ. 7 75 100 ს. ს., ჩ. 11 10 100 ს. და ს. ტეხილი ხაზებით 12 35 100 ს. 2 ნაკვეთი ა. 6 და ½ ს. დ. 7 საჟენი, ჩ. მხრით 13 ს. და ს. მხრით ტეხილი ხაზები 14 და 66 100 ს. 400,000 მანეთად. 2303 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 22 ივლისს 1920 წ. დამტკიცდა 18 მარტს 1920 წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული გიორგი რამაზის ძე გოცირიძის მიერ ილია გიორგის ძე და შალვა ივლიანეს ძეთ მაღლაკელიძეებზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში პეტრე-პავლეს ქუჩაზე შენობით ზომით 162 კ. ს. 100,000 მანეთად. 2303 1—1

# ალგულალის სატყეო სამმართველო აცხადებს, რომ

1920 წ. სექტემბრის 5 ს დღის 12 საათზედ ალგულალის სატყეო სამმართველოში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა საშეშე და სანახშირე ტყეზე საგინოვის ყოფილ ტყიან მამულში რაოდენობით 5 დესეტინა, ანგარიშით 120,5 კუბ. საჟენი და შეფასებული 54,337 მანეთი და 20 კაპ. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება ალგულალის სატყეო სამმართველოში. 846 3—3



რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ შაჰბაზიანი